უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№7 (14) 2012

თსუ არქეოლოგიური ლაბორატორია ორი წლისაა

11 ივნისს თსუ არქეოლოგიური ინსტიტუტის ინტერდისციპლინალური ლაბორატორია 2 წლის გახდა. ლაბორატორია სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გაამყარონ. ლაბორატორია 2010 წელს თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა, რომლის აუცილებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად უამრავი მასალა ამოდიოდა, და ეს ყველაფერი რომ არ დარჩენილიყო აღწერის გარეშე. ლამორატორიის მიზანი იყო არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის ფოტო, გრაფიკული და ტექსტური ფიქსაცია, ასევე კამერალური დამუშავება. რაც გულისხმობს არქეოლოგიური მასალის გარეცხვას, ნუმერაციას, აღწერას, გაწმენდა-რესტავრაციას, კონსერვაციას. ეს ყველაფერი უკვე ამ ლაბორატორიაში კეთდება და მას სულ 6 თანამშრომელი უძღვება.

გაგრძელება მე-3 გვ.

ანთროპოლოგიური გამოფენა - „კეკელა - აღდგენილი წარსული“

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით დედათა მონასტრის ეზოში ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგებიც ჩაერთვნენ. აღმოჩენილი მასალის საფუძველზე, თსუ-ის პროფესორებმა არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, პალინოლოგიური და ჰერალდიკური მონაცემების გათვალისწინებით აკლდამაში აღმოჩენილი ქალბატონის ვინაობა დაადგინეს და მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები აღადგინეს.

კვლევის შედეგების საფუძველზე 18 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანთროპოლოგიური გამოფენა „კეკელა - აღდგენილი წარსული“ გაიხსნა. გამოფენა ასახავს 2011 წლის ივნისში დედათა მონასტრის ეზოში აღმოჩენილი XIX საუკუნის აკლდამას და მასში დაკრძალული ნეშტის კომპლექსური კვლევის საფუძველზე ერთი ქალბატონის აღდგენილ წარსულს.

გამოფენის გახსნას თსუ-ს რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაესწრნენ.

გაგრძელება მე-3 გვ.

ქართული ემიგრაციის მუზეუმი თსუ-ში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი 1994 წლის 10 ოქტომბერს დაარსდა, მუზეუმი ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით შეიქმნა. მუზეუმის ფონდი თავდაპირველად გურამ შარაძის პირადი ფონდიდან შეივსო. დღეს მუზეუმში ინახება უნიკალური ემიგრანტული წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, რადიო „თავისუფლების“ 40 წლის მანძილზე გასული გადაცემების აუდიოკასეტები, რომლებზეც შემონახულია გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძის, მიხაკო წერეთლის, გიორგი კვინიტაძის, ნოე ჟორდანიასა და სხვა ცნობილი ემიგრანტების ინტერვიუები და მიმართვები. ასევე ცნობილ ემიგრანტთა მემორიალური ნივთები (ნოე ჟორდანიას, კიტა ჩხენკელის, ვიქტორ ნოზაძის პირადი ნივთები), ფერწერული ტილოები, ვიქტორ ნოზაძის პარიზული სტამბა და სხვა უამრავი ნივთი.

გაგრძელება მე-4 გვ.

ქართული ენის პედაგოგები – თსუ-დან

თსუ-ს კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართული საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში ისინი საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას ქართულ ენას ასწავლიან.

გვ. 3

თსუ სტუდენტები - საერთაშორისო ასპარეზზე

თსუ რექტორის მოადგილე, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ლევან ალექსიძე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატებებზე გვესაუბრება:

გვ. 2

დებატების ნახევარფინალი

გვ. 2

თსუ ფუტსალის მორიგი წარმატება

გვ. 4

გერმანული ენის გრამატიკა – თსუ პროფესორის ავტორობით

სულ ცოტა ხნის წინ მანჰაიმში (გერმანია) არსებულმა გერმანული ენის ინსტიტუტმა (IDS), თსუ-ის პროფესორის ოთხტომეული თავისი ბიბლიოთეკის მუდმივ ფონდში შეიტანა და შესაბამისი ინფორმაცია თავის ონლაინ კატალოგშიც განათავსა. ეს ინსტიტუტი გერმანისტიკის ყველაზე ავტორიტეტული კვლევითი ცენტრია. "გერმანული ენის გრამატიკის" შემქმნელი მარიკა ანდრაზაშვილი კი პირველი ქართველი ავტორი, რომლის ნაშრომიც ამ ცენტრმა საკუთარ ფონდში შეტანის ღირსად მიიჩნია. გრამატიკის ეს სახელმძღვანელო გერმანისტების გარდა ყველა იმ ზრდასრული ადამიანისთვისთვისაა განკუთვნილი, ვისაც გერმანულის საფუძვლიანად შესწავლა სურს. შერჩევითი ხასიათის სახელმძღვანელოდ იგი უფროსკლასელებისთვისაც გამოდგება.

გაგრძელება მე-3 გვ.

მისია 2012 – წარმატებული პროექტის ფინალი

15 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის „მისია 2012“ ფინალი გაიმართა. ფინალისტი გუნდები კონკურსის ჟიურის წინაშე პრეზენტაციებით წარდგნენ. სპეციალურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც მარკეტოლოგები, ფინანსისტები, სოციოლოგები და პიარის წარმომადგენლები იყვნენ, კონკურსის გამარჯვებულად გუნდი „ R Partner"-ი დაასახელა, გამარჯვებულ გუნდს 2500 ლარის ოდენობის ფულადი პრემია და პრიზები გადაეცა, კონკურსის საპრიზო მეორე და მესამე ადგილი შესაბამისად გუნდებზე: „სტრატეგია 2012“ და „Imagination station" გადანაწილდა.

გაგრძელება მე-4 გვ.

სიახლეები

18 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „თსუ ბიზნესოლიმპიადა 2012-ის“ ფინალი და გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

„თსუ ბიზნესოლიმპიადა“ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ეკონომისტთა კლუბის“ ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია. მასში ხუთ-ხუთ კაციანი გუნდები მონაწილეობენ, რომელთაც დარგის აქტუალური პრობლემების სრულყოფილი კვლევა და შესწავლა ევალებათ.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული გუნდი. რომელთაც გადაეცემათ სხვადასხვა პრიზები.

***

17 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში “ვეფხისტყაოსნის” საჯარო კითხვა გაიმართა. ტრადიციული ღონისძიება წელს მეათედ ჩატარდა. საჯარო კითხვის დღეს ყველა მსურველს ეძლევა საშუალება შოთა რუსთაველის პოემა ხმამაღლა წაიკითხოს. „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის ტრადიციას საფუძველი მწერალმა დათო ტურაშვილმა და პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა ათი წლის წინ ჩაუყარეს.

***

15 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესტავრაციის ლაბორატორიის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე მე-19 საუკუნეში გამოცემული და რესტავრირებული ათი წიგნი, ერთი ხელნაწერი და ორი ფერწერული ტილო იყო წარმოდგენილი.

***

14 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში მხატვარ ლევან სილაგაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული ნამუშევრები და ფერადი ილუსტრაციები. მათ შორის, გამომცემლობა „ანბანის“ მიერ გამოცემული სერიალის „საყმაწვილო ბიბლიოთეკის“ ილუსტრაციები, რომელიც მოიცავს ქართული ლიტერატურის კლასიკას ჰაგიოგრაფიიდან თანამედროვე მწერლობამდე.

***

14 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის „აღმოაჩინე მრავალკულტურული საქართველო“ დასკვნითი ეტაპი - ფოტოგამოფენა და პრეზენტაცია გაიმართა. გამოიფინა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურის და პროექტის „აღმოაჩინე მრავალკულტურული საქართველო“ განხორციელების ამსახველი ფოტოები.

***

12 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა NASA კოსმოსური ცენტრის მეცნიერ-მკვლევარის ალექსანდრე თაქთაქიშვილის სამეცნიერო-პოპულარული ლექცია „შესავალი კოსმოსური ამინდის მეცნიერებაში“ (Introduction to the Space Weather).

***

11 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს შემეცნებითი ალმანახის “ჰეროლდის” პრეზენტაცია გაიმართა. ალმანახის პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები შეეხება ჰერალდიკას, ვექსილოლოგიას, ფალერისტიკას, ნუმიზმატიკას, ბონისტიკას, სფრაგისტიკას, უნიმორფოლოგიასა და ემბლემატიკას.

***

8 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლონდონის ბიზნესისა და ფინანსების სკოლის – LSBF ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი – ანა ტორანი სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე ანა ტორანიმ სტუდენტებს გააცნო ევროპული სტანდარტების განათლება, სამაგისტრო პროგრამები და მოკლევადიანი კურსები, რომელიც ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით ხორციელდება.

***

8 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია „პოლონური მოტივები - ისტორია და თანამედროვეობა“, რომელიც ლეხ და მარია კაჩინსკების ხსოვნას მიეძღვნა.

მოსწავლეები “ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ”

თსუ-ს ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტმა, თბილისის საერთაშორისო ცენტრმა მათემატიკასა და ინფორმატიკაში და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტმა 2012 წლიდან სკოლის მოსწავლეთათვის ერთობლივი პროექტის განხორცილება დაიწყეს.

პროექტში, რომელსაც სახელად „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“ ჰქვია, მონაწილეობას მე7-მე-11 კლასის მოსწავლეები იღებენ. პროექტი ორკვირანია და მისი მიზანი სკოლის მოსწავლეებისათვის მათემატიკისადმი ინტერესის გაღვივებაა. თსუ-ს მეცნიერებთან შეხვედრებისა და მათი ლექციების საშუალებით ბავშვები მათემატიკის გამოყენებით ასპექტებს გაეცნობიან. 18 – 29 ივნისისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სკოლის მოსწავლეებმა სააპლიკაცო საბუთები შეავსეს.

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ოთხ ჯგუფად დაყოფილ 40 ბავშვს ლექციებს 15 მეცნიერი წაუკითხავს. ლექციები იმართება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ნანომექანიკა, ჰიდრომექანიკა, განზოგადებული ანალიზური ფუნქციები, ეკოლოგიური მეტეოროლოგია და ა.შ.

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტის, პროექტის კოორდინატორ იუსუფ ფ. გიულვერის აზრით, ამგვარი პროექტი ძალზე საინტერესო და ეფექტურია, “ზუსტი მეცნიერებების საგნებისადმი ინტერესის მქონე ბავშვებში კიდევ უფრო მეტი ინტერესის გაღვივების საშუალებას იძლევა. სკოლის მოსწავლეებს დიდ მეცნიერებთან, პროფესორებთან უშუალო კონტაქტის დამყარება შეუძლიათ - თანაც უშუალოდ მათ სამუშაო ადგილზე და კაბინეტებში. ასეთი “სამეცნიერო სკოლის” იდეა ვეკუას ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლებს გაუჩნდათ, რომელიც უფროსმა თანამშრომლებმა სიამოვნებით გაიზიარეს.” – აცხადებს გიულვერი. მისივე თქმით, სამომავლოდ პროექტში თურქეთის სკოლების მოსწავლეების ჩართვის იდეაც არსებობს.

თსუ სტუდენტები - საერთაშორისო ასპარეზზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადებული სტუდენტები ობიექტურად ამტკიცებენ, რომ ფაკულტეტზე იზრდებიან სპეციალისტები, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო დონეზე გვასახელებენ. ამის დასტური ის ხშირი გამარჯვებებია, რომელთაც ფაკულტეტის სტუდენტები სხვადასხვა კონკურსებსა და შეჯიბრებებზე აღწევენ.

თსუ რექტორის მოადგილე, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ლევან ალექსიძე სტუდენტთა წარმატებებზე გვესაუბრება:

- თსუ იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ეგიდით მოქმედი კურსი მოიცავს ორივე სპეციალობის (სამართალი, საერთაშორისო სამართალი) სტუდენტებს. ჯგუფები, როგორც წესი, იმარჯვებენ ყველა ეროვნულ კონკურსში, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე საუკეთესოთა შორის არიან. მაგალითად, წელს ჩვენი ჯგუფი იმყოფებოდა ჰააგაში, სადაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სასამართლოს იმიტირებულ პროცესში და საუკეთესოთა ათეულში მოხვდა. ჩვენი იურისტების გუნდმა მეშვიდე ადგილი იტალიასთან გაიყო.

– რამდენადაც ვიცით, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები გასულ წელს სხვა ძალზე მნიშვნელოვანი შეჯიბრების გამარჯვებულებიც არიან.

– მართალია, განსაკუთრებით მინდა გამოვყო ფილიპ ჯესაპის იმიტირებული პროცესი, რომელიც გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო პროცესის იმიტაციას წარმოადგენს. მასში 80-მდე ქვეყნიდან 500-ზე მეტი იურიდიული ფაკულტეტისა და სამართლის სკოლის ინსტიტუტი მონაწილეობს.

პირველად საქართველოს ისტორიაში, 2011 წლის 20-26 მარტს თსუ-ს გუნდმა დილარდის ჯილდო მოიპოვა. თსუ-ის გუნდი მსოფლიოს 500-მდე მონაწილე უნივერსიტეტს შორის, საუკეთესოდ შედგენილი მემორიალის ნომინაციაში საუკეთესოდ დასახელდა. ეს არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი წარმატებაა.

ჯესაპის იმიტირებული პროცესის საერთაშორისო რაუნდზე დაახლოებით 120 მონაწილე გუნდიდან თსუ-ს წარმომადგენელთა გუნდი საუკეთესო 32 გუნდს შორის დასახელდა და ნახევარფინალისტების რიგებს შეუერთდა (27-ე ადგილი).

ჯესაპის იმიტირებულ პროცესზე დილარდის ჯილდოს ასაღებად არა მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილე გუნდების, არამედ ყველა რეგიონულ და ეროვნულ შეჯიბრზე გასული გუნდის ნაწერის (მემორიალის/სარჩელის) შეფასება ხდება. ათასობით სამართლის სტუდენტი მთელი მსოფლიოდან მუშაობს ჯესაპის პროცესზე დასმულ საკითხებზე.

ბუნებრივია, რომ ყველა ეს გამარჯვება ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის დამსახურებაა, რადგან აღნიშნული მიმართულებით სწავლებას და კონკურსებში მონაწილეთა მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში არსებობს სპეციალური კურსი, რომელსაც ორივე სპეციალობის სტუდენტები გადიან. კურსის ხელმძღვანელია სამართლის დოქტორი ქეთევან ხუციშვილი, რომელიც სტუდენტებს სათანადო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად მიზანმიმართულად ამზადებს. ამ კურსის და ტრენინგების ეფექტიანობა, ჩვენდა საამაყოდ, საერთაშორისო კონკურსებზე მიღწეული შედეგებიდან ჩანს. სექტემბრიდან უკვე ახალი ჯგუფების მომზადება იწყება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ჯგუფის წევრებმა კარგად იცოდნენ ინგლისური ენა, რადგან აპლიკაციებში, მემორიალებში სპეციფიური იურიდიული ტერმინოლოგიის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

- ალბათ საინტერესო იქნება ჯესაპის იმიტირებული პროცესის მონაწილეთა ვინაობის დაკონკრეტება....

- თსუ-ს 2011 წლის გუნდის შემადგენლობაში იურიდიული ფაკულტეტის 4 წარმატებული სტუდენტი ირიცხებოდა. ესენი არიან: გიორგი ნარმანია, დავით ჩიტაიშვილი, მარიამ ასანიშვილი და ანდრია ნადირაძე. გუნდის მწვრთნელი იყო ამავე ფაკულტეტის კურსადმთავრებული თამარ ღონღაძე, რომელსაც არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება უნივერსიტეტის სახელით სხვადასხვა საერთაშორისო იმიტირებულ პორცესებზე მონაწილეობისას და დღეს ეხმარება ქეთევან ხუციშვილს სტუდენტთა წვრთნაში. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ რა გუნდები მოხვდნენ “ბრწყინვალე ათეულში”, საკმარისია გავეცნოთ მათ ჩამონათვალს: პირველ ადგილზეა თსუ (საქართველო) - 549 ქულა, მეორე ადგილი სინდენის უნივერსიტეტმა (ავსტრალია) დაიკავა - 548 ქულით. მესამე ადგილი - ვაშინგტონის უნივერისტეტს (აშშ) ერგო - 547 ქულა, მეოთხე ადგილზეა ეოტვას ლონარდის უნივერსიტეტი (უნგრეთი) - 546. მეხუთე ადგილი - არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სინგაპურის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიყვეს. ათეულში შედიან ეკონომიკის უმაღლესი სკოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი), ამერიკული უნივერსიტეტი (აშშ) მაილაიზის უნივერსიტეტი (მალაიზია), ჰონგკონგის უნივერისტეტი (ჩინეთი).

დებატებისა და საჯარო გამოსვლების ბანაკის ტურნირის ნახევარფინალი თსუ-ში

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეებმა 7 ივნისს თსუ-ში გამართულ დებატებზე მოსინჯეს თავი. დებატებისა და საჯარო გამოსვლების ბანაკის ტურნირის ნახევარფინალში გასული მოსწავლეების მორიგი თამაში ინტერნაციონალის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრაზე თსუ დებატკლუბის სტუდენტებმა იმსაჯეს. დებატების თემა იყო „ბავშვთა უფლებების დაცვა.“ თსუ სტუდენტების მსაჯთა კოლეგიამ გამოავლინა ორი გამარჯვებული გუნდი.

პროექტის სახელწოდებაა „საპარლამენტო დებატების სწავლება თსუ-ში“, რომელიც „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის მიერ მომზადდა“. საპარლამენტო დებატები წარმოადგენს ფორმალური დებატების ერთ-ერთ სახეს, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ძირითადად გამოიყენება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებში გარკვეული საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

პროექტის მიზანია სტუდენტებში ორატორული, კვლევის, ორგანიზებულობის და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. დებატები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, სწორი მოსმენა, არგუმენტაცია, ეფექტური პრეზენტაცია, ლოგიკური მსჯელობა, ოპონენტის პატივისცემა, ეფექტიანი კითხვა-პასუხის წარმოება, შეჯამება და ანალიზი, ორატორობა, დროის მენეჯმენტი, თავდაჯერებულობა, ორგანიზებულობა და პოზიციის შემუშავება-ჩამოყალიბება.

საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარის, თსუ დებატების კლუბის ხელმძღვანელის თინათინ ცერცვაძის განცხადებით, „მსგავსი დებატები ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. დებატები ზოგადი განათლებისთვისაც მნიშვნელოვანია, კრიტიკულ აზროვნებასა და არგუმენტირებულ მსჯელობას ავითარებს. მას შემდეგ, რაც თსუ-ში დებატების კლუბი შეიქმნა, სტუდენტებმა მოახერხეს დაუფლებოდნენ დებატების ტექნიკას, რაც ძალიან შრომატევადია და ბევრ დროს საჭიროებს“.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა, დებატკლუბის ერთ-ერთმა წევრმა მარიამ გაიპარაშვილმა აღნიშნა: „ძალიან სასიამოვნოა, რომ თსუ-ში გაიხსნა დებატკლუბი და ვეუფლებით დებატების ხელოვნებას. ეს კლუბი სწორი მიმართულებით წარმართავს ჩვენს განვითარებას და მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ისეთი უნარები განვავითარო, რომელიც ჩემს მომავალ პროფესიაშიც დამეხმარება. ამგვარად, ძალიან დიდ გამოცდილებას მივიღებთ“.

თსუ-სა და მისი დებატკლუბის სახელითა და მასპინძლობით იგეგმება საერთაშორისო ღონისძიებებიც.

თსუ არქეოლოგიური ლაბორატორია ორი წლისაა

პირველი გვერდიდან

არქეოლოგიური ლაბორატორია ინტერდისციპლინარულია, ამიტომ უშუალო კონტაქტები აქვს, როგორც მომიჯნავე სპეციალობათა, ისე განსხვავებულ სპეციალობებთან (ანთროპოლოგია, გეოლოგია, გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობა, მინერალოგია, ფიზიკა, ქიმია და ა.შ.) აქ აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია თანამედროვე მექანიზმით ხდება, მასალა ძირითადად მექანიკური წესით მუშავდება, იყენებენ ისეთ ნივთიერებებს, რომელიც საზიანო არ არის ნივთებისთვის. მაქსიმალურად ცდილობენ არ გამოიყენონ ქიმიური ნივთიერებები. ლაბორატორიაში მიმდინარე საქმიანობაში სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) ჩართულობა დიდია. თეორიულ კურსში სტუდენტები გადიან ზემოხსენებულ მასალას, რომლის პრაქტიკას ლაბორატორიაში იღებენ თანამშრომელთა დახმარებით. ლაბორატორია აქტიურად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, კონფერენციებს, არქეოლოგიურ ექსპედიციებს. ექსპედიციები ხშირია, წელიწადის განმავლობაში მინიმუმ 3 გასვლა იგეგმება, მოპოვებული მასალა კი ყველანაირად მუშავდება თსუ არქეოლოგიის ლაბორატორიაში. გარდა მასალის რესტავრაცია-დამუშავებისა ხდება მუზეუმში არსებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი მასალის აღწერა და საგამოფენოდ მომზადება. ლაბორატორია ეხმარება მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, ამზადებენ მასალას და შემდეგ გადასცემენ სხვადასხვა მუზეუმს. ლაბორატორიის ბაზაზე არის ბიბლიოთეკაც, რომელიც უახლესი არქეოლოგიური ლიტერატურით მარაგდება და სტუდენტებს საშუალება აქვთ აქვე იმეცადინონ. ეწყობა ბევრი ერთობლივი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია. თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიამ მექსიკის უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა სხვადასხვა რეგიონებში არქეომაგნიტური ანალიზი. საქართველოში მსგავსი კვლევა არ გაკეთებულა, თსუ-ში ეს იყო პირველი პროექტი. ამ ლაბორატორიას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი წმინდა სამეცნიერო, ხოლო მეორე პრაქტიკული. ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან, ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტთან და სხვა. გარდა შიდა კონტაქტებისა ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთ არსებულ უნივერსიტეტებთან (აშშ, სან დიეგო, იტალია, პოლონეტი და სხვა) ხშირია გაცვლითი პროგრამები, რათა სტუდენტებმა მიიღონ განათლება თანამედროვე სტანდარტებზე დაყრდნობით და მათი დონე შეესაბამებოდეს ევროპულ დონეს. გარდა ამისა, არიან მოწვეული პედაგოგები (პარიზი, ლუვროს უნივერსიტეტი), რომლებიც შემოდგომის სემესტრიდან იმუშავებენ სტუდენტებთან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ასევე საფუძველი ჩაეყარა წყალქვეშა არქეოლოგიასაც, სადაც თსუ-ს სტუდენტები გონიოში პოლონელ არქეოლოგებთან ერთად იმუშავებენ. თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია არის მართლაც ერთ-ერთი ინტერდისციპლინარული ლაბორატორია.

ანთროპოლოგიური გამოფენა - „კეკელა - აღდგენილი წარსული“

პირველი გვერდიდან

მკვლევართა აზრით ქალბატონი თავად-აზნაურთა წრიდან უნდა ყოფილიყო. ქალბატონზე აღმოჩენილ საქორწინო ბეჭედზე დატანებული რუსული ინიციალებით „ФТ 9 Ноября 1828“ მისი ვინაობის გარკვევას შეუდგნენ. 1850 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-სთვის შედგენილ ქართველ თავად-აზნაურთა საოჯახო სიაში მოხსენიებულია თაზიშვილი ფადეი დიმიტრის ძე (Тазиевы Фадей) თავის ოჯახთან ერთად - მეუღლე - კეკელა, შვილები: თეიმურაზი, რაჟდენი და ევგენია. XIX საუკუნის ქართველ თავად-აზნაურთა შორის, თაზიშვილი ფადეი ის ერთადერთი პირია, რომელიც ბეჭდის ინიციალებს ემთხვევა. მკვლევართა აზრით სწორედ ფადეის მეუღლის - კეკელას ნეშტი იქნა აღმოჩენილი დედათა მონასტერის ეზოში.

ქალბატონი დაკრძალული იყო აბრეშუმის ზედატანით და ხელთათმანებით, სელის ქვედატანით და შალის წინდებით; გამოფენაზე აღმოჩენილი ატრიბუტების ნაწილიც იქნება წარმოდგენილი.

მკვლევარებმა გარდაცვლილის ასაკიც დაადგინეს - კეკელა თაზიშვილი 35-40 წლის იყო, მუცლის დაავადება აწუხებდა და გარდაცვალების წინა დღეებში ის ვაზის ტალავრით დახურულ ეზოში ტრიალებდა. ცხოვრების ეპიზოდების აღდგენა ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებით მოხდა, რომელთა საფუძველზე ჯანმრთელობის შეფასება და ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია გახდა შესაძლებელი.

გერმანული ენის გრამატიკა – თსუ პროფესორის ავტორობით

პირველი გვერდიდან

მარიამ ანდრაზაშვილის ოთხტომეული მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის (IDS) მუდმივ ფონდში

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანიის ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, დოქტორმა მარიკა ანდრაზაშვილმა პროექტ ქასელის უნივერსიტეტში წარადგინა და გაიმარჯვა. როგორც თავად ამბობს, გერმანული გრამატიკის სახელმძღვანელოზე მუშაობა საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდს დაემთხვა. სწორედ ამ დროს მიეცა დასავლეთში წასვლის შესაძლებლობა, რაც იქაური გამოცდილების შესწავლის და საქართველოში არსებულ სახელმძღვანელოებთან შედარების საუკეთესო საშუალება იყო.

თავისი პროექტის ფარგლებში მარიკა ანდრაზაშვილმა სამი სტიპენდია მოიპოვა. გერმანიის კათოლიკური გაცვლითი სამსახურის (KAAD), გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) და ფრანც თუსენის სახელობის ფონდის. სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი მთლიანად გერმანულმა მხარემ დააფინანსა. თსუ-მ კი წიგნი უფასოდ დასტამბა. “გერმანული ენის გრამატიკას” თსუ-ს გამომცემლობის წინაშე ისეთმა რეცენზენტებმა გაუწიეს რეკომენდაცია, როგორებიც პროფესორები პეტერ აიზენბერგი, ლუდვიგ აიჰინგერი, გიზელა ციფონუნი, ვოლფგანგ ჰაინემანი არიან. ოთხივე მათგანი თანამედროვე გერმანისტიკის კორიფედ ითვლება.

”გერმანული ენის გრამატიკის”, მეორე გამოცემის მეოთხე ტომი 2012 წლის მაისში გამოვიდა. წიგნის პირველი გამოცემა 1999-2003 წლებით თარიღდება. ამ სახელმძღვანელომდე, გერმანული ენის საფუძვლიანად შესწავლით დაინტერესებულ ქართველებს საკმაოდ მწირი არჩევანი ჰქონდათ და ძირითადად აბიტურიენტებისათვის განკუთვნილი ორი სახელმძღვანელოთი იფარგლებოდნენ. გრამატიკის მეორე გამოცემა 2007 წელს გერმანიაში განხორციელებული გერმანული ენის მართლწერის რეფორმას მოყვა.

ამ დროისათვის, წიგნის პირველი გამოცემა ბაზარზე ფიზიკურად აღარ მოიპოვებოდა. მარიკა ანდრაზაშვილის თქმით, წიგნის გადახალისება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოხდა. სრული გადამუშავების შემდეგ იგი უფრო ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი გახდა, მოცულობა კი 1400 გვერდიდან 1850 გვერდამდე გაიზარდა.

თსუ-ს პროფესორი გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას კვლავაც აგრძელებს. ლაიპციგის, ვენის და ბონის უნივერსიტეტების მეცნიერებთან ერთად მარიკა ანდრაზაშვილი სხვადასხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობს.

სიახლეები

8 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია “ეფექტური მართველობა შავიზღვისპირა აუზის ქვეყნებში.” კონფერენციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს შავიზღვისპირა ქვეყნების და სამხრეთ კავკასიის დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებას, ეფექტური მმართველობის წარმატებული მეთოდების ერთმანეთისთვის გაცნობას და დემოკრატიული კულტურის ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

***

7 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუირიდიული ფაკულტეტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით გაიმართა სამართლის შიდა სახელმწიფოებრივი კონფერენცია თემაზე: „ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. მომხსენებელთა გამოსვლები უმთავრესად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესულ ცვლილებებს შეეხებოდა.

***

5 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით გაიმართა კულტურულ–შემეცნებითი ღონისძიება „კავკასიური საღამო“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კავკასიის სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები: ქართველები, დაღესტნელები, აზერბაიჯანელები, სომხები, ჩერქეზები, ჩეჩნები, ქურთები. მათ საკუთარ ტრადიცია, კულტურა წარმოაჩინეს.

***

4 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში “ევროპის დღეების” დახურვასთან დაკავშირებით რობერ შუმანის ევროპულ სასწავლებელთან ერთობლივი საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა.

ქართული ენის პედაგოგები – თსუ-დან

“თავიდან ცოტა უცხოსავით შემხვდნენ. მერე მიხვდნენ, რომ ჩემთვის, როგორც უცხოსთვის არ უნდა ეყურებინათ. ახლა მხოლოდ მე კი არა, ჩემი ოჯახის წევრებსაც დაუმეგობრდნენ. “ჩემი პირველი ოჯახიც” “მეორე ოჯახის” ამბებს ხშირად კითხულობს და პირიქით. – ამბობს, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნატო გოცირიძე. ნატოს “მეორე ოჯახი” ბოლნისის რაიონის სოფელ ჯავშანიანში მცხოვრები მამედოვების ოჯახია, რომელშიც ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და თან იქაურ სკოლაში ასწავლიდა.

ნატო გოცირიძე თსუ-ს კურდამთავრებულთა შორის ერთ-ერთია, ვინც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული “ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის” პროგრამაში ჩაერთო. პროგრამა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში, სახელმწიფო ენის სწავლებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს. მათ შორის, არაქართულერნოვან სკოლაში ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში პედაგოგების გაგზავნას.

ნატომ თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიის სპეციალობით ორი წლის წინ დაამთავრა. თვლის, რომ ამ პროექტით ერთდროულად საინტერესო და პატრიოტული საქმე კეთდება. სოფელ ჯავშანიანში ქართულ ენას აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებს ასწავლის. თავიდან ქართულის სწავლის მსურველთა რაოდენობა ნაკლები იყო, თუმცა შემდეგ, როდესაც ადგილობრივები ახალ მასწავლებელს მიეჩვივნენ, სწავლის უფრო მეტი ხალისი და სტიმული გაჩნდა. სპეციალურად შექმნილ ჯგუფში ქართულის სასწავლად უკვე გაკვეთილების შემდეგაც რჩებიან. თან – არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ პედაგოგებიც.

ასევე თსუ-ს კურსდამთავრებული თეონა ჯუღელი ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში ასწავლის. იგი ფილოლოგია, ქართული ენის პედაგოგიკის სპეციალისტი. როგორც ამბობს, მისთვის, როგორც მომავალი პედაგოგისთვის ფოკას სკოლაში რეალურად პრაქტიკის მისაღებად ძალიან კარგი საშუალება იყო. “დაინახეს, რომ მათთან ურთიერთობის სურვილი გვაქვს და ამის შედეგად უფრო ჩვენს შორის უფრო მეტი ნდობა გაჩნდა.” – ამბობს თეონა. კლასგარეშე გაკვეთილების ჩატარება უფროსებისთვის მასაც უწევს და ამითაც ძალიან ამაყია.

რეგიონში ქართულის სწავლების დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებას ნატოცა და თეონაც თსუ მაგისტრატურაში აპირებენ. ბაკალავრის ხარისხის მქონე პროგრამის მონაწილეებს მაგისტრატურის გამოცდების შემდეგ, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის მიღება შეუძლიათ.

შეამოწმე შენი ცოდნა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფასო საზაფხულო სკოლა მე-11 კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ცოდნის შემოწმებას ტესტირების საფუძველზე.

25 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით ტესტირება ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა - 25 ივნისი.
2. უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) - 26 ივნისი.
3. ისტორია - 27 ივნისი.
4. მათემატიკა - 28 ივნისი.
5. გეოგრაფია - 29 ივნისი.
6. ზოგადი უნარები - 30 ივნისი.
7. ქიმია - 1 ივლისი.
8. ფიზიკა - 2 ივლისი.
9. ბიოლოგია - 3 ივლისი.

თსუ -ს ლექტორები ტესტირების შედეგებს მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ. შედგება დისკუსია მოსწავლეებსა და თსუ-ს ლექტორებს შორის, რაც თავისთავად ცოდნის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა.

ტესტირება ჩატარდება თსუ მე-II კორპუსში, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (№ 212).

ტესტირების დაწყების დრო: 10 საათი.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: 225 04 84; 225 11 17; 225 39 71.
ელ. ფოსტა: academicaffairs@tsu.ge

მონაწილეობის მიღების შემთხვევაში დარეგისტრირდით: www.tsu.edu.ge

სიახლეები

5 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „პრივატბანკთან“ ერთობლივი პროექტის „გახდი ერთი დღით პრივატბანკის დირექტორის“ გამარჯვებულის დაჯილდოება. კონკურსანტებმა სხვადასხვა გუნდური თუ ინდივიდუალური დავალები შეასრულეს. გამარჯვებული თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ნინო გელაშვილი გახდა, რომელიც გამოვლინდა ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროექტის ფინალისტები გაივლიან სტაჟირებას დასაქმების პერსპექტივით. ხოლო საუკეთესო მოთამაშე ერთი დღით გახდება „პრივატბანკის“ დირექტორი. მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები და სხვა ფასიანი პრიზები.

***

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კომპანია „IDS“ ბორჯომი საქართველო“-ს მიერ ინიცირებული კონკურსის „ჩემი ბორჯომი“ დავალება ქ. ბორჯომში მიიღეს. თსუ სტუდენტებმა კონკურსის ფარგლებში, სხვა უმაღლესი სასწავლებლების გუნდებთან ერთად, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა დაათვალიერეს. საკონკურსო დავალება სტუდენტებმა დასკვნით ტურზე უნდა წარადგინონ, რომელიც 2012 წლის სექტემბერში გაიმართება. კონკურსში მონაწილე გუნდებიდან 3 საუკეთესო გამოვლინდება და ფულადი პრემიით დაჯილდოვდება, ხოლო გამარჯვებული გუნდის უნივერსიტეტი 5000 ლარის ღირებულების საჩუქარს მიიღებს.

***

1 ივნისს თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექციების ფარგლებში ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორ ბრუნო კოპიეტერსის საჯარო ლექცია გაიმართა.

***

31 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის მოადგილემ, მთავრობის მდივანმა ბულენტ არინჩიმ და თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ცნობილი თურქი პოეტის იანუს ემრეს კულტურის ცენტრი გახსნეს.

***

31 მაისს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები თსუ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს შეხვდნენ, რომელთაც პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პირობები გააცნეს. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაგზავნიან მოხალისე პედაგოგებს.

მისია 2012 – წარმატებული პროექტის ფინალი

პირველი გვერდიდან

„დიდი მადლობა ამ პროექტს, რომ მოგვცა საშუალება გამოგვევლინა ჩვენი ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები. იმედი გვაქვს, რომ პროექტი გაგრძელდება და ბევრ სტუდენტს მისცემს საშუალებას გამოავლინოს საკუთარი თავი და გადადგას პირველი ნაბიჯები წარმატებული კარიერისთვის“, - აღნიშნა კონკურსის გამარჯვებული გუნდის ლიდერმა ნინო ცხადაძემ.

თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. კონკურსის წლევანდელი პარტნიორი კომპანია „გეოპლანტი“ იყო, საპრიზო ფონდმა კი, 5000 ლარი შეადგინა.

18 გუნდიდან 6 ფინალისტი გუნდის წარმომადგენლები ერთი თვის განმავლობაში კომპანია „გეოპლანტის“ ვირტუალური მარკეტინგისა და პიარის მენეჯერები იყვნენ და ფინალურ დავალებას - ჩაის ქართული ბრენდის - „გურიელი ხილის ჩაის“ ერთი წლის საკომუნიკაციო სტრატეგიას ქმნიდნენ.

„თვენახევრის განმავლობაში გვქონდა უშუალო კონტაქტი სტუდენტებთან, მათ კი თავის მხრივ შეხება ჰქონდათ რეალურ ბიზნესთან, რეალურ ბიზნეს–მოცემულობასთან, პროდუქტთან, რომელიც დღეს საკმაოდ წარმატებულად იმკვიდრებს თავს ქართულ ბაზარზე. კონკურსანტებს უნდა შემოეთავაზებინათ კონკრეტული გზები და წინადადებები იმ ამოცანის ირგვლივ, რაც ამ პროდუქტის წინაშე დგას. ყველა გუნდმა კარგად გაართვა თავი ამოცანას, გვქონდა შენიშვნებიც. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სტუდენტებს თეორიული ცოდნა მეტი აქვთ, ვიდრე პრაქტიკული. გაიმარჯვეს საუკეთესოებმა და მოხარული ვარ, რომ ეს მათ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს განავითარებს“, - განაცხადა კომპანია „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა.

ფინალური დავალების შესრულების პროცესში კონკურსანტებისთვის უნივერ სიტეტისა და კომპანიის ერთობლივი სემინარები მოეწყო. კომპანია „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა ფინალისტ 6 გუნდს კომპანიის განვითარების ისტორია, მიმდინარე სიახლეები და აქტივობები გააცნო. სემინარებზე კომპანიის გაყიდვების მენეჯერმა პრეზენტაციაც წარადგინა, რომელშიც დეტალურად იყო ასახული კომპანიის გაყიდვების სტრატეგია და განხორციელების გზები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე კონკურსანტებს პროექტების წერისა და მართვის შესახებ ესაუბრა, ამასთან გუნდის წევრებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ფინალური ნაშრომის მომზადებისათვის საჭირო ინდივიდუალური კონსულტაციებიც გაიარეს.

კომპანიის საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით კომპანიამ ფინალისტები რაჭაშიც მიიწვია. კონკურსანტებმა რაჭაში მდებარე ხილის ჩირის მწარმოებელი ქარხანა მოინახულეს, რომელიც კომპანია „გეოპლანტს“ ხილის ჩაისთვის ნედლეულს აწვდის.

კონკურსის მსვლელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა შეაფასა:

„ეს იყო ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული კონკურსი, კომპანიის ხელმძღვანელებმა კონკურსის მონაწილეებს დიდი დრო დაუთმეს, მიაწოდეს საკმარისი ინფორმაცია, მისცეს მათ პრაქტიკული გამოცდილება. კარგი პრეზენტაციები წარმოადგინეს სტუდენტებმა, ამიტომ რთული იყო გამარჯვებულის გამოვლენა. გამარჯვება მოიპოვა იმ გუნდმა, რომლის პროექტიც იყო ძლიერი სტრატეგიული კუთხით და თეორიულად განვითარებული“.სტუდენტური კონკურსი ყოველწლიურია და მომავალ წელსაც გაიმართება.

თსუ ფუტსალის მორიგი წარმატება

28 მაისს გაიმართა ფინალური მატჩი ფუტსალში, სადაც ერთმანეთს თსუ-ს გუნდი და „იბერია სტარი“ დაუპრისპირდნენ. თსუ-მ 8:5 ანგარიშის სხვაობით დაამარცხა მოწინააღმდეგე და საქართველოს თასის მფლობელი გახდა, ხოლო საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

თსუ-ს ფუტსალის გუნდი უკვე 5 წელია არსებობს. გუნდში 12 მოთამაშეა ლევან კობაიძე, დავით ბობოხიძე (კაპიტანი), ლევან ზაქაიძე, მურთაზ კაკაბაძე, ზურაბ ლუკავა, სერგ აბლოიაო, ირაკლი თოდუა, ლაშა სიგუნავა, შოთა ჭანუკვაძე, თორნიკე ბუკია, შოთა ბუკია, თემურ ჯაფარიძე), რომელთა უმრავლესობაც საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. გუნდის მწვრთნელია ბესარიონ არველაძე, გუნდის პრეზიდენტია ირაკლი ხარჯავანიძე, ექიმი არსენ კვანტალიანი.

„იბერია სტარი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელიც ევროპაში მე-8 ადგილზეა, ამიტომ მისი დამარცხება საკმაოდ დიდი მიღწევაა. ჩვენი სპორტსმენები ამჟამად ევროპის უნივერსიადისთვის ემზადებიან, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

ქართული ემიგრაციის მუზეუმი თსუ-ში

პირველი გვერდიდან

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი ერთადერთია საქართველოს მაშტაბით, სადაც თვმოყრილია 80-ზე მეტი პირადი არქივი (ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, კონსტანტინე კანდელაკი, ევგენი გეგჭკორი, ვიქტორ ნოზაძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, შალვა მაღლაკელოძე, გიორგი მაჩაბელი, გიორგი გვამავა, რაფიელ ინგილო, კალისტრატე სალია და ხვა.) მათგან უმრავლესობა სრულყოფილია. აღნიშნულ არქივებში დოკუმენტთა 90% ხელნაწერი სახით არის წარმოდგენილი (ავტოგრაფია), ხოლო დანარჩენი 10% ნაბეჭდი სახითაა. ემიგრანტული მასალები გვხვდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მაგრამ სრულყოფილი სახე ამ კოლექციებს აქვს თსუ ემიგრაციის მუზეუმში. გარდა ამისა გვხვდება არქივების ქსეროასლები, მაგალითად ხარიტონ შავიშვილის არქივის ქსეროასლები მუზეუმს გადმოსცა „ერთა ლიგამ“ (გაერო). მუზეუმის თანამშრომლები დოდო კორსანტია და რუსუდან კობახიძე დღემდე დაკავებულები არიან არქივების აღწერით. მუზეუმი განთავსებულია თსუ-ს მერვე კორპუსში, სადაც არის მუდმივმოქმედი გამოფენა, აქ წარმოდგენილია ძირითადი ექსპოზიციები, რომლებიც არ იცვლება, მაგრამ როდესაც იმართება პერიოდული გამოფენები ემატება ნივთები თემატიკის მიხედვით. მუდმივად მიმდინარეობს კოლექციის გამდიდრება, არქივების ჩამოტანა. ბევრი დაინტერესებული პირი სტუმრობს ყოველდღიურად მუზეუმს, სხვადახსვა უნივერსიტეტებიდან (სოხუმის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და სხვა), როგორც სტუდენტები ასევე პროფესორ-მასწავლებლები, მკვლევარები. ხშირია ექსკურსიები სკოლებიდანაც. მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან ასევე ემიგრანტთა სათვისტომოს წარმომადგენლები და ძველი ემიგრანტების შთამომავლები.